თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2015 წლის 15 ივლისის სხდომის ოქმი #8

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 24, სტუდენტები – 5, სულ –29 წევრი.

დღის წესრიგი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

2. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი- მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიიღო წერილი, სადაც ითხოვენ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებას. მან ითხოვა ამ საკითხის დღის წესრიგში დამატება. მან ასევე ითხოვა დღის წესრიგში მეორე საკითხის დამატება - საგანმანათლებლო პროგრამებში დაგეგმილი ცლილებების შესახებ;

შესაბამისად დღის წესრიგში შევიდა აღნიშნული ცვლილებები:

1. დღის წესრიგს დაემატა საკითხი: კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;
2. დღის წესრიგს დაემატა საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამებში დაგეგმილი ცლილებების შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 15 ივლისის #8 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ ბერიძემ აღნიშნა, რომ წინა საბჭოს სხდომაზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ასარჩევად დასახელდა პროფ. ე. ხარაიშვილის კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩეული იქნას პროფ. ე. ხარაიშვილი. მან საბჭოს წევრებს გააცნო პროფ. ე. ხარაიშვილის ავტობიოგრაფია და სთხოვა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ამ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე - მან აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს წარმოდგენილ კანდიდატურას, მაგრამ სურს გამოთქვას საკუთარი შეხედულება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სამსახურმა თავიდანვე დაიწყო ტენდენციურად მუშაობა. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა თავის თავზე ირგებდა სასწავლო პროგრამებს. მან დაასახელმა ფაკულტეტის ყოფილი დეკანი ა. ცომაია და ლ. ჩაგელიშვილი. ამ პერიოდში სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტი“ გახდა სავალდებულო ყველა სპეციალობისთვის, რადგანაც ეს მათ ინტერესებში შედიოდა. შემდეგ ტენდენცია შეიცვალა. მან აღნიშნა, რომ

კათედრამ რამდენჯერმე შემოიტანა წერილი დეკანის და ყოფილი დეკანის სახელზე იმასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიკის მიმართულებაზე სავალდებულო საგნად ისწავლებოდეს ,,მენეჯმენტის საფუძვლები.“ სასწავლო კურსი ,,მენეჯმენტი“ საჭიროა ისწავლებოდეს როგორც ძირითადი საგანი ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებებზე. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი არ განხილულა და საჭიროა მისი განხილვა. საჭიროა სასწავლო გეგმები მოერგოს სტუდენტს და არა ცაკლეულ პიროვნებებს.

მან ასევე აღნიშნა შემდეგი: ,,მაინორზე, მეორე სპეციალობაზე, ასევე უნდა იყოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებები - მარკეტინგი, მენეჯმენტი და ა.შ. საჭიროა მაინორი იყოს როგორც ეკონომიკის, ასევე ბიზნესის და ტურიზმის მიმართულება. ერთ-ერთი დასაბუთება არის ის, რომ მაინორის სწავლებაზე არის ხარჯები. თუ თანხები იხარჯება ტურიზმის და ეკონომიკის მიმართულებაზე, რატომ არ შეიძლება, რომ დაიხარჯოს ბიზნესის მიმართულებაზეც?“

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ აღნიშნა, რომ მას არ მიაჩნია სწორად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი დაკომპლექტებული იყოს ერთი მიმართულებიდან. ახლად არჩეულმა ხელმძღვანელმა უნდა მოახდინოს ამ სამსახურის განახლება და შერჩევა უნდა მოხდეს ობიექტურად.

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ ასევე აღნიშნა, რომ ხშირად სეპარატიზმს აქვს ადგილი, რადგან არ არის სწორი და სადისკუსიო საკითხია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორი.

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ აღნიშნა, რომ არასწორია ფაკულტეტის სახელწოდებაც. ნაცვლად ,,ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტისა“ უნდა იყოს ,,ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების“ ფაკულტეტი.

პროფ. რ. გველესიანი - მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო აკადემიებს ჰქვიათ ეკონომიკის და ბიზნესის აკადემიები.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - მან აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო სტრატეგიით იყო განსაზღვრული პროგრამების გამსხვილება და აქ ხარისხის სამსახური არაფერ შუაშია. რეფორმების განხორციელების დროს თსუ ყოფილი რექტორის, გ. ხუბუას დროს მოხდა აღნიშნული პროგრამების შეჯერება.

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე - მან წარმატება უსურვა ქ-ნ ე. ხარაიშვილს და აღნიშნა, რომ თუ ის წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალ შემადგენლობას, ის ჩართული იქნება ამ საკითხის განხილვაში და მიიღებს აქტიურ მონაწილეობას, მოისმენს ყველა მოსაზრებას და განიხილავს ყველა კანდიდატურას.

პროფ. ე. ხარაიშვილი - მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მხარდაჭერა მისთვის არის დიდი პასუხისმგებლობა სწავლის ხარისხის ამაღლების საქმეში.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად არჩეულ იქნეს პროფ. ეთერ ხარაიშვილი.

მოისმინეს: კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, ქ-ნ. ი. მშვენიერაძის წერილი #3971/29; 15.07. 2015, სადაც ის ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ითხოვს შუამდგომლობას, რათა მიენიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: 1. ჯიბლაძე გიორგი (დიპლომი წარჩინებით) და 2. კობერიძე ალექსანდრე (დიპლომი ჩვეულებრივი);

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ეკონომიკის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი 2014-2015 სასწავლო წლის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

1. ჯიბლაძე გიორგი (დიპლომი წარჩინებით);

2. კობერიძე ალექსანდრე (დიპლომი ჩვეულებრივი).

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ-მა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს დაეგზავნათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებში სავარაუდო ცვლილებების შესახებ. ცვლილებები შედის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში:

1. *ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა;*
2. *ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა.*
3. *ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;*
4. *ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;*

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 29
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დაამტკიცეს საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით (იხ. დანართი).

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე